ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4216288

ნომერი: AR1636276

თარიღი : 09.10.2018

გაცემის თარიღი : 12.10.2018

გაცნობის თარიღი : 12.10.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოგდან ხმელნიცკი , N 8-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV ჩიხი N2; ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV ჩიხი N4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ღვინიაშვილი პ/ნ 13001004837
- გურჯაანი. ჩალაუბანი

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1636276 (09/10/2018) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, ბოგდან ხმელნიცკი, N8-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV ჩიხი N2; ქალაქი თბისლისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV ჩიხი N4-ში (ს/კ: N01.17.11.026.125) ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტების, მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (კომერციული, საოფისე, სასტუმრო, საცხოვრებელი) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებას, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
აღნიშნული მიწის ნაკვეთი მდებარეობს საზოგადოებრივ საქმიან ზონა-1-ში (სსზ-1), რომელიც წარმოადგენს საშუალო ინტენსივობის შერეულ საზოგადოებრივ საქმიან ქვეზონას, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (მათ შორის გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს.
აღნიშნულ ზონაში თქვენ მიერ მოთხოვნილი მრავალფუნქციური შენობის შემადგენელი საცხოვრებლის განთავსება არ განეკუთვენება ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით განსაზღვრულ სსზ-1-ში დასაშვებ სახეობებს და განეკუთვნება აღნიშნულ ზონაში ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვებ სახეობებს, რომლებიც საჭიროებენ სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას (იხ. დანართი). აღნიშნულის შესახებ თქვენთვის უკვე ცნობილია სამსახურის № 4084850 (24/07/2018) გადაწყვეტილებით.
აღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.